

არმათიონის წმ. გიორგისა და 10 ნოემბრის გიორგობისათვის

1989 წელს, საპატრიარქოს ჟურნალში „ჯვარი ვაზისა“ დაიბეჭდა ექვთიმე კოჭლამაზაშვილის წერილი ქიზიყში, სოფ. ზემო მაჩხაანში მდგარ საყდარზე, რომელიც არმათიონის წმინდა გიორგის სახელითაა ცნობილი. წერილის მთავარი მიზანი იყო ამ საყდრის სახელწოდების – „არმათიონის“ მნიშვნელობის განმარტება.¹ ავტორი აღნიშნავდა, რომ ადგილობრივ მოხუცებულთა გადმოცემით, ძველთაგან მომდინარე ჩვეულების თანახმად, აქ გიორგობას 10 ნოემბერს (ძვ. სტილით) აღნიშნავენ. როგორც დღეს არის საყოველთაოდ მიღებული, გიორგი მთაწმინდლის „სვინაქსარის“ ცნობის საფუძველზე, 10 ნოემბერს დიდმოწამე გიორგის ურმის თვალზე წამების დღე აღინიშნება. კერძოდ, წმ. გიორგი მთაწმინდელი თავის „დიდ სვინაქსარში“ შესაბამის დღეზე წერს: „წმიდისა მოწამისა გიორგის ურმის თუალსა შესღვად, რაჟამს დაჰკრეს იგი ურმის თუალსა“ და იქვე აღნიშნავს: „წმიდანო მამანო, ამას დღესა დაღაცათუ ბერძენნი წმიდისა გიორგისათვს არა დიად დღესასწაულობენ, არარად არს ყენებად, რადთა ჩუენ ვდღესასწაულობდეთ, რამეთუ ჩუენ პირველითგან ესრეთ გვაქუს ჩუეულება“.²

ე. კოჭლამაზაშვილი უარყოფს კორნელი კეკელიძის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, 10 ნოემბერს აღინიშნება არა წმ. გიორგის ურმის თვალზე წამება, როგორც ამას გიორგი მთაწმინდლის სვინაქსარი გვაუწყებს, არამედ საქრისტიანოს უძველესი დღესასწაული, ლუდის წმ. გიორგის სატფურების დღესასწაულის წარგზავნა, ან მისი სწორი, ანუ მსგეფსი. ამასთან დაკავშირებით კ. კეკელიძე წერდა: „ზოგიერთი, მსოფლიო ეკლესიის წიაღში უძველეს დროს აღმოცენებული დღესასწაული, რომელიც ამ დროისათვის უკვე სახეშეცვლილი ან პრაქტიკიდან გამოსული იყო, ქართველებს უცვლელად შეუნახავთ, თავისი

1 ე. კოჭლამაზაშვილი, საქართველოს ტოპონიმიკაში შემორჩენილი ერთი ბერძნული წარმომავლობის სახელის განმარტებისათვის (არმათიონი), ჯვარი ვაზისა, 1989, №3, გვ. 80-83.

2 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტურგიატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 53-54; Кекелидзе К.С. Иерусалимский Канонарь VII века (Грузинская версия). 1912, стр. 283; Кекелидзе К. Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение. Тифлис, 1908, ст. 239.

ეროვნული სული ჩაუბერიათ მათთვის, რის გამო, შემდეგი დროის, XI საუკუნიდან, მწერლებს, რომელთაც მათი წარმოშობა უკვე ნათლად აღარ გაეგებოდათ, ქართულ დღესასწაულებად მოუნათლავთ.³ ერთ-ერთ ასეთ დღესასწაულად მიაჩნდა მას, სწორედ, 10 ნოემბრის გიორგობა.

როგორც ვთქვით, ე. კოჭლამაზაშვილი არ ეთანხმება კეკელიძის მისაზრებას და ფიქრობს, რომ „გიორგი მთაწმიდელის „დიდი სუნაქსარის“ კალენდარული ცნობა წმ. გიორგის ურმის თვალზე წამების დღის (10 ნოემბრის) შესახებ ისტორიულ სინამდვილეს შეესაბამება“ (ხაზგასმა ავტორისაა – ნ. ნ.).⁴ ამის დასტურად მას მიაჩნია, სწორედ, ქიზიყში შემორჩენილი ტოპონიმი **არმათიონი**, რომელიც, მისი აზრით, ბერძნულ ენაში ურმის, საბრძოლო ეტლის აღმნიშვნელი $\alpha\mu\alpha$, $\alpha\mu\alpha\tau\omicron\varsigma$ სიტყვიდან უნდა მომდინარეობდეს, უფრო სწორად კი მისი მრ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმიდან – $\tau\alpha\upsilon \alpha\mu\alpha\tau\alpha\upsilon$. კერძოდ, იგი წერს: „წმ. გიორგის ეკლესიის **არმათიონად** მოხსენება იმაზე მიგვითითებს, რომ ამ ეკლესიის სადღესასწაულო დღე – 10 ნოემბერი – ქართველებს წმ. გიორგის ურმის თვალზე წამების დღედ მიაჩნდათ. როგორც ჩანს, ასევე თვლიდნენ ბერძნებიც; სხვანაირად, გაუგებარი იქნებოდა ქართულ ტოპონიმად სათანადო ბერძნული სიტყვის შემოტანა. უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვა **არმათიონი** (< არმატონ-ი) მწიგნობრული გზით შემოვიდა ქართულში და ტოპონიმად გადაქცევამდეც იხმარებოდა.“⁵

თავის დროზე, მკვლევარის ეს მოსაზრება მართებულად მიმჩინდა, თუმცა წმინდა გიორგის კულტზე მუშაობისას წარმოებულმა ჩემმა შემდგომმა დაკვირვებებმა ცხადყო, რომ საქმე არც თუ ისე მარტივადაა. სინამდვილეში, ქართული „არმათიონი“ არ უნდა მომდინარეობდეს ურმის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვიდან $\alpha\mu\alpha\tau\alpha\upsilon$ და ვერც 10 ნოემბერს მივიჩნევთ წმ. გიორგის ურმის თვალზე წამების დღედ. როგორც აღმოჩნდა, მართალი იყო კორნელი კეკელიძე, რომელიც ფიქრობდა, რომ 10 ნოემბერი ლუდის წმ. გიორგის სატფურების დღესასწაულის წარგზავნის დღეა, ანუ მსგეფსი; ასევე, მართებული უნდა იყოს კეკელიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ XI საუკუნის ბერძნულ ეკლესიაში უკვე პრაქტიკიდან თითქმის სრულიად გამოსული ეს უძველესი დღესასწაული გიორგი მთაწმინდელმა შეცდომით წმ. გიორგის ურმის თვალზე წამების დღედ მიიჩნია: “Вырывать из жизни

3 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 53.

4 ე. კოჭლამაზაშვილი, საქართველოს ტოპონიმიკაში შემორჩენილი ერთი ბერძნული წარმომავლობის სახელის განმარტებისათვის (არმათიონი), გვ. 83.

5 იქვე, გვ. 82.

св. Георгия один факт, хотя бы колесования, и вспоминать его особо, 10 ноября, оснований никаких не представлялось”.⁶

ჩემი აზრით, ზემო მახსაანის სალოცავის სახელწოდება „არმათიონი“ გვიან, XVIII ს-ში უნდა გაჩენილიყო და პალესტინის ერთ-ერთი ისტორიული ქალაქის, არმათიონის სახელწოდებიდან უნდა მომდინარეობდეს. თუ როგორ და რატომ, ამის დასამტკიცებლად მოგვიწევს მცირე ექსკურსი ისტორიაში, ისტორიული წყაროების გათვალისწინებით, მანამდე კი ყურადღებას იმ შეკითხვებზე გავამახვილებ, რომლებიც ე. კოჭლამაზაშვილის სტატიის კითხვისას ჩნდება:

1. წმ. გიორგი მთაწმიდლის ცნობა, რომ 10 ნოემბრის გიორგობა წმ. გიორგის ურმის თვალზე დაკვრის აღსანიშნავად დაწესებული დღეობაა, არის ერთადერთი. სხვაგან, არც ბერძნულ, არც ქართულ და არც ქრისტიანული აღმოსავლეთის თუ დასავლეთის ლიტურგიკულ პრაქტიკაში მსგავსი სახელწოდების დღეობა არ აღინიშნება. წმ. გიორგის ცხოვრებაში აღწერილია მისი შვიდნაირი წამება: ა) ჩამოკიდება და ლახვრით დაკოდვა; ბ) გულზე უზარმაზარი ლოღის დადება; გ) ურმის-თვალზე დაბმა; დ) ახლადგამომწვარი კირის ორმოში ჩააგდება; ე) შიგნიდან დაღურსმული გავარვარებული რკინის ფენსაცმელის ჩაცმა; ვ) საქონლის ძარღვებისგან დამზადებული მათრახით გვემა; დაბოლოს, ზ) ხმლით თავის მოკვეთა. სწორედ ეს ბოლო, სასიკვდილო წამების დღე, 23 აპრილი არის წმ. გიორგის საყოველთაო ხსენების დღე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წამებისას (გარდა ხმლით თავის კვეთისა) წმინდანი ერთნაირად იტანჯა და მათ სასწაულებრივად, ღვთის შეწევნით გადაურჩა. ამიტომ, სრულიად გაუგებარია, თუ რატომ უნდა დაწესებულიყო მათგან მხოლოდ ერთი სახის წამებისთვის – ურმის თვალზე დაკვრისთვის – განსაკუთრებული დღესასწაული? (ქვემოთ შევეცდები განვმარტო, თუ რატომ უნდა დაეკავშირებინა წმ. გიორგი მთაწმინდელს 10 ნოემბრის გიორგობა ურმის თვალზე წამებასთან) შესაბამისად, ჩემი აზრით, პირველი, რაც უნდა გაირკვეს, არის სწორედ 10 ნოემბრის გიორგობის არსი. არ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ერთადერთი ცნობით, თუნდაც ის ისეთი დიდი საეკლესიო ავტორიტეტისგან მოდიოდეს, როგორც წმ. გიორგი მთაწმინდელია.

2. თუკი დავუშვებთ, რომ სწორია გიორგი მთაწმინდელის ცნობა და, მართლაც, 10 ნოემბრის გიორგობა მისი ბორბალზე წამების მოსაგონრად დაწესდა, მაშინ წმ. გიორგის ბერძნულ „ცხოვრებათა“ უამრავ რედაქციაში ერთი შემთხვევა მაინც უნდა დადასტურებულიყო, სადაც წმ. გიორგის ბორბალზე წამებასთან მიმართებაში გამოყენ-

6 К.Кекелидзе, Иерусалимский канонарь, 285.

ბული იქნებოდა სიტყვა $\alpha\rho\mu\alpha$, $\alpha\rho\mu\alpha\tau\omicron\varsigma$ = ურემი; მით უმეტეს, რომ ე. კოჭლამაზაშვილის აზრით, სიტყვა „არმატიონი“ ბერძნულიდან ქართულში მწიგნობრული გზით უნდა შემოსულიყო („უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვა „არმატიონი“ (< არმატოს) მწიგნობრული გზით შემოვიდა ქართულში, და ეკლესიის სახელად გადაქცევამდეც იხმარებოდა“). სინამდვილეში კი ვითარება ამის საპირისპიროა: წმ. გიორგის ბერძნულ „ცხოვრებებში“ ბორბლის აღმნიშვნელად გვაქვს სიტყვა $\tau\rho\omicron\chi\rho\delta$, მაგრამ არ გვაქვს მინიშნება ურემზე. მაშ, საიდან ჩნდება ქართულ „ცხოვრებებში“ ურემი? საქმე ისაა, რომ ძვ. ქართულში ბორბლის აღსანიშნავად იხმარებოდა სიტყვა „თუალი“, მაგრამ რომ არ მომხდარიყო მისი აღრევა თვალთან, როგორც მხედველობის ორგანოსთან, ხშირ შემთხვევაში ეს ტერმინი საჭიროებდა დაზუსტებას. სწორედ ასე იქცევა წმ. გიორგის „ცხოვრების“ ქართველი მთარგმნელიც, როდესაც ბერძნულ $\tau\rho\omicron\chi\rho\delta$ -ს თარგმნის, როგორც „ურმის-თუალი“; ამის დამადასტურებელი კიდევ ერთი მაგალითი მოჰყავს თავად ე. კოჭლამაზაშვილსაც, სადაც ჩანს, რომ ეფრემ მცირემ, დიონისე არეოპაგელის თხზულებათა თარგმნისას, ბერძნული $\tau\rho\omicron\chi\rho\delta$ თარგმნა, როგორც „ეტლის-თუალი“. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ, ერთი მხრივ, წმ. გიორგის „ცხოვრების“ ბერძნულ ტექსტებში საუბარი არ არის ურემზე / $\alpha\rho\mu\alpha\tau\omicron\varsigma$, არამედ იქ იხსენიება მხოლოდ ბორბალი – $\tau\rho\omicron\chi\rho\delta$ და, მეორე მხრივ, რომ ბერძნული $\tau\rho\omicron\chi\rho\delta$ -ის აღსანიშნავად ქართულ თარგმანებში „ურემი“ (ურმის-თუალი) და „ეტლი“ (ეტლის-თუალი) ჩნდება მხოლოდ ქართული ტერმინის სპეციფიკის გათვალისწინებით, იმის დასაზუსტებლად, რომ საუბარია „თუალზე“; არა როგორც მხედველობის ორგანოზე, არამედ როგორც ბორბალზე. შესაბამისად, არ გვაქვს იმის საფუძველი, რომ ვიფიქროთ, თითქოსდა ქართულში „არმატიონი“ / „არმათიონი“ შემოვიდა ბერძნულიდან მწიგნობრული გზით და რომ იგი წმ. გიორგის ურმის თვალზე დაკვრის დღეს უკავშირდება.

3. როგორც ზემოთაც ითქვა, ე. კოჭლამაზაშვილი ფიქრობს, რომ „სიტყვა „არმატიონი“ (< არმატოს) მწიგნობრული გზით შემოვიდა ქართულში, და ეკლესიის სახელად გადაქცევამდეც იხმარებოდა“. საეჭვოა ამგვარი მტკიცებაც, რადგან, თუ სიტყვა „არმატიონი“ მწიგნობრული გზით შემოვიდა ქართულში, მაშინ, პირველ რიგში, ის ერთხელ მაინც უნდა იყოს დადასტურებული ქართული მწერლობის ძეგლებში, მით უმეტეს, რომ 10 ნოემბრის გიორგობა იერუსალიმის კანონარის შექმნის დროიდან (VII ს.) მაინც აღინიშნება; თუმცა, ვითარება საპირისპიროა ქართულ წერილობით ძეგლებში მსგავსი ტერმინი დადასტურებული არ არის. მეორეც, თუკი ამგვარი ტერმინი მართლაც შემოვიდა ქართულში, მაშინ იგი დადასტურებული უნდა იყოს საქართველოს

სხვა კუთხეებშიც. რეალობა კი სხვაგვარია – „არმათიონის“ სახელით ცნობილი ეკლესია თუ ტოპონიმი, ზემო მაჩხაანის გარდა, სხვაგან არსად გვხვდება. მაგ., გიორგობის თარიღთან დაკავშირებით, ტიმოთე გაბაშვილი თავის მიმოსვლაში წერს, რომ წმ. გიორგის გვაში მისმა მსახურმა „მილო და დამარხა ლუდიას ნოენბერსა გ (3). ამისთვის ქართველნი დღესასწაულობენ ნოენბრის გ, და კვალად სწორსაცა მისსაცა (ანუ, 10 ნომბერს; ნ. ნ.), ილორს, მონასტერსა წმიდისა გიორგისასა სასწაულთა მათთვის, რომელნი იქმნებიან წლიითი-წლად.“ აქვე, აშიაზე, ავტორის ხელითვე მიწერილ კომენტარში კი ვკითხულობთ: „... რამეთუ ნამეტნავი დღესასწაული არს დღე ესე ქართველთათვის, სიყვარულისათვის და სასოებისა მისისა.“⁷ ე. კოჭლამაზაშვილის მოსაზრება „არმატოს“ > „არმათიონის“ შესახებ რომ სიმართლე იყოს, მაშინ ასახსნელია, თუ რითია გამოწვეული ის ფაქტი, რომ 10 ნომბრის გიორგობის საქართველოში ასეთი მასიური გავრცელების პირობებში, „არმათიონის“ სახელი მხოლოდ ზემო მაჩხაანში დასტურდება და არსად სხვაგან.

4. რადგან სახელი „არმათიონი“ მხოლოდ სოფ. ზემო მაჩხაანშია დადასტურებული, მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ როდიდან არსებობს თავად ეს სოფელი და კიდევ რა ისტორიული ძეგლებია მის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ თავად მაჩხაანელთა გადმოცემით სოფელი XV საუკუნეში დაარსებულია გარდაბნიდან გადმოსახლებული მოსახლეობის მიერ. ეს თარიღი სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს, რადგან სოფ. მაჩხაანი წერილობით წყაროებში პირველად იოანე ბატონიშვილთან იხსენიება;⁸ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხის ბაზაში აღრიცხულია ზემო მაჩხაანის რამდენიმე ეკლესია, კერძოდ, წმ. სტეფანეს, არმათიონის, ყველაწმინდას, წმ. გიორგის (სასაფლაოზე), მთავარანგელოზის და წმ. ელიას ეკლესიები; გარდა ამისა, არის ბენაანთ ციხის სახელით ცნობილი კოშკი. ამ ძეგლებიდან ყველა გვიანი შუა საუკუნეებით, ან კიდევ უფრო ახალი დროით თარიღდება; მხოლოდ წმ. სტეფანეს ეკლესიაა მიჩნეული შუა საუკუნეების ძეგლად, თუმცა, უფრო კონკრეტული დათარიღება შემოთავაზებული არ არის. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ ძეგლების და მისი მიდამოების არქეოლოგიური შესწავლა არ მომხდარა მაგრამ, გარეგნული ნიშნებით არცერთი მათგანი XV საუკუნეზე უფრო ადრინდელი არ უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, საეჭვოა, რომ ტერმინი „არმათიონი“ XV ს-ზე ადრე გაჩენილიყო, იმ გარემოებათა

7 ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, ე. მეტრეველის გამოც., თბ., 1956, გვ. 70, შენ. ***

8 იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი მოამზადეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშიძემ, თბ., 1986.

გათვალისწინებით, რომ ზემო მაჩხაანის გარდა იგი დადასტურებული არაა არც საქართველოს სხვა კუთხეებსა თუ სოფლებში, როგორც ხალხური ტოპონიმი და არც წერილობით ძეგლებში.

5. ე. კოჭლამაზაშვილი აღნიშნავს, რომ ადგილობრივ მოხუცებულთა გადმოცემით არმათიონის ეკლესიაში „ძველთაგან მომდინარე ჩვეულების თანახმად, მხოლოდ შემოდგომაზე, 10 ნოემბერს (ძვ. სტილით) აღნიშნავენ გიორგობის დღესასწაულს.“ ეს ცნობა საკმარისი იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება. ზემო მაჩხაანში არმათიონის გარდა არის კიდევ მეორე ეკლესია წმ. გიორგის სახელზე, რომელიც სასაფლაოზე მდებარეობს. დროის უქონლობის გამო მე ვერ მოვახერხე ამ საკითხის სრულფასოვანი შესწავლა, რაც ველზე გასვლის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ე. კოჭლამაზაშვილის რესპონდენტებისგან სრულიად საპირისპირო მაცნობებს ზემო მაჩხაანელმა ნატროშვილებმა, კერძოდ, მათი ინფორმაციით, გიორგობის დღეს, 23 ნოემბერს (ძვ. სტ. 10 ნოემბერი), როგორც წესი, გადიოდნენ სასაფლაოზე მდგარ წმ. გიორგის ეკლესიაში და არა არმათიონში. მათი სიტყვებით, „ძირითადად, წმინდა გიორგიში იმართებოდა დღესასწაულები და შესაწირავიც იქ მიქონდათ.“ ამ ურთიერთგამომრიცხავი ცნობებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ საკითხი კარგად უნდა იქნეს შესწავლილი იმ თვალსაზრისით, თუ ტრადიციულად რა ადგილი ეკავათ სოფლის რელიგიურ ცხოვრებაში არმათიონს და სასაფლაოზე მდგარ წმ. გიორგის ეკლესიას, როდის იყო მათი დღეობები, რომელ ეკლესიაში გასვლას ანიჭებდა უპირატესობას ხალხი 10 ნოემბერს და სხვა.

6. ბოლო საკითხი, რომელიც ეწინააღმდეგება ე. კოჭლამაზაშვილის მოსაზრებას, არის წმინდად ლინგვისტურ-ფონეტიკური. იმისათვის, რომ ქართული „არმათიონ“-ი ბერძნული ἀρματαν-იდან მომდინარედ მივიჩნიოთ, პირველ რიგში, უნდა ავხსნათ, რა ფონეტიკური მოვლენის საფუძველზე შეიძლება ბერძნული τ ქართულში თ-დ გადმოსულიყო? როგორც წესი, ბერძნული მკვეთრი τ ძვ. ქართულში ასევე მკვეთრ ტ-დ გადმოდის, ხოლო ფშვინვიერი θ – ასევე ფშვინვიერ თ-დ. შესაბამისად, თუ **არმათიონ**-ს ბერძნულ ნასესხობად მივიჩნევთ, უნდა გვექონოდა **არმატიონ**-ი და არა **არმათიონ**-ი, მით უმეტეს, რომ ავტორი მას ქართულში მწიგნობრული გზით შემოსულად მიიჩნევს. ვერც იმას ვიფიქრებთ, რომ ტ > თ მონაცვლეობა მოგვიანებით ქართულის ნიადაგზე მოხდა, რადგან არც ძველი და არც ახალი ქართული ენებისთვის ასეთი ბგერათმონაცვლეობა, როგორც წესი, დამახასიათებელი არ არის.

ამ პრობლემური საკითხების დასმისა თუ განხილვის შემდეგ, უკვე შეგვიძლია გადავიდეთ შეპირებულ ისტორიულ-წყაროთმცოდ-

ნეობით ექსკურსზე. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ „არმათიონი“ ბიბლიურ ქალაქ არიმათიას უნდა უკავშირდებოდეს. გასარკვევია, რომელი ქალაქია ეს და რა კავშირი აქვს მას წმ. გიორგის კულტთან?

როგორც ცნობილია, წმ. გიორგის კულტი დაკავშირებულია პალესტინის ქალაქ ლუდთან (ძვ. ქართ. ლოვდია; ებრ. ლოდ-ი 𐤋𐤍; არაბ. ალ-ლუდ ٱللُّد; ბერძნ. Λύδδα; ლათ. Lydda; რუს. Лидда), რომელიც რომაულ ხანაში დიოსპოლის-ის (Διοσπολις = ღმერთთა ქალაქი) სახელით იყო ცნობილი. წმ. გიორგის უძველესი, აპოკრიფული „ცხოვრებების“ თანახმად, იგი სპარსეთის ლეგენდარული მეფის, დადიანის (სხვა ვერსიებით – დაკიანე, დატიანე) მიერ პალესტინის ქალაქ ლუდში ეწამა (წმ. გიორგის ნიკომიდიასში წამების ვერსია მოგვიანებით ჩნდება). შუაბიზანტიური ხანის „ცხოვრებათა“ ზოგიერთი ვერსიით, წარმოშობით ლუდიდან იყო წმინდანის დედა, სახელად პოლიქრონია. ქრისტიანულ ხანაში ლუდის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული მასში არსებულ წმ. გიორგის სახელობის ეკლესიასთან, თუმცა როგორც ეკლესიის, ასევე წმ. გიორგის კულტის წარმოშობა, ორივე ბურუსითაა მოცული.

ლუდში წმ. გიორგის სახელზე ეკლესიის არსებობის პირველი უეჭველი ცნობა თეოდოსი დიაკონს ეკუთვნის (დაახლ. 518 წ.), რომელიც წერს: „*ემაუსიდან დიოსპოლისამდე არის 12 მილი, სადაც წმ. გიორგი ეწამა. იქვეა მისი სხეულიც [დაკრძალული] და მრავალი სასწაულიც ხდება*“⁹ მეორე ცნობა პიაჩენცელ პილიგრიმ ანტონინს (570 წ.) ეკუთვნის;¹⁰ VI ს-ის მეორე ნახევრის მადახის მოზაიკურ რუკაზე ქალაქ ლუდში გამოსახულია წმ. გიორგის დიდი ბაზილიკა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 325 წელს უკვე არსებობდა ლუდში ეკლესია, რადგან ნიკეის პირველი მსოფლიო კრების ეპისკოპოსთა სიაში იხსენიება ლუდის ეპისკოპოსი აეტიუსი (Ἀέτιος), მაგრამ უცნობია, დაკავშირებული იყო თუ არა იგი წმ. გიორგის ეკლესიასთან. მხოლოდ მოგვიანებით, ვილჰელმ ტირელის (XII ს.) მიერ ჩაწერილი გადმოცემის თანახმად ვიგებთ, რომ ეკლესია იუსტინიანე I-ს აუგია თუ აღუდგენია, რასაც მხარს უჭერს არქეოლოგიური და არქიტექტურული მონაცემებიც.¹¹ VI – VII სს-ის მიჯნაზე ლუდს სახელად გეორგოპოლისი ეწოდა,¹² ხოლო, როდესაც 636 წელს ლუდი არაბებმა დაიპყრეს, აქ,

9 Феодосий. О местоположении Св. земли нач. VI в., ППС. т. 10, вып. 1. (Вып. 28). 1891. ст. 14; Denys Pringle, *The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem: A Corpus: Volume 2, L-Z*, Cambridge University Press, 1993, p. 9.

10 Путник Антонина из Плаценции кон. VI в., ППС. т. 13, вып. 3. (Вып. 39). 1895. ст. 39.

11 Denys Pringle, *The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem: A Corpus: Volume 2, L-Z*; Православная Энциклопедия, Т. 11, ст. 118-120.

12 Yoram Tsafrir, Leah Di Segni, Judith Green, *Tabula Imperii Romani Iudaea-Palestina*:

წმინდანის საფლავზე, შთამბეჭდავი ზომის ბაზილიკა იდგა. ეპიფანე ბერის (639-689) წმინდა ადგილთა აღწერის IX ს-ის რედაქციამ შემოინახა საინტერესო ცნობები ეკლესიის შესახებ: „ეკლესია ძალიან დიდია და მის საკურთხეველში ძვეს წამების ბორბალი. და ნაოსის მარჯვენა მხარეს დგას სვეტი, რემლზედაც ბორბალია მიბმული. მისი [წმ. გიორგის] ხსენების დღეს [სვეტიდან] სისხლი გადმოდის სამი საათის განმავლობაში“¹³

აქ საჭიროდ მიმაჩნია, მოვიყვანო ლუდის ეკლესიასთან დაკავშირებული წმ. გიორგის ერთ-ერთი ცნობილი სასწაული, რომელსაც „ქვრივის სვეტის სასწაულს“ ეძახიან (BHG, № 691a-691c). თქმულების მიხედვით, პალესტინის ქალაქში, წმ. გიორგის დედულეთში (არ კონკრეტდება რომელ ქალაქზეა საუბარი, თუმცა სხვა ვერსიებით წმინდანის დედულეთი სწორედ ლუდი იყო¹⁴), სადაც წმინდანის წმ. ნაწილები იყო დასვენებული, ბიზანტიის იმპერატორმა განიზრახა აეგო ახალი ეკლესია, იმაზე უფრო დიდებული, ვიდრე არსებული იყო. მაგრამ ქალაქში არ აღმოჩნდა სვეტებისთვის საჭირო მასალა და იმპერატორმა ზღვით გააგზავნა ხალხი სხვა ქალაქში, სადაც ქვის სამტეხლო ეგულებოდათ. ვიღაც ღვთისმოსავმა ქვრივმა, თავისი მთელი დანაზოგით ქვის სვეტი შეიძინა და უნდოდა წმ. გიორგის ეკლესიისთვის შეეწირა, თუმცა გემით გასაგზავნი ფული აღარ დარჩა. მეფის მოსამსახურემ, ვისაც სამშენებლო მასალის გაგზავნა ევალებოდა, უარით გაისტუმრა ქვრივი, იმ მიზეზით, რომ იმპერატორისა და ვიღაც ქვრივის შესაწირი ერთმანეთში ვერ აირეოდა. ამ პასუხით დალონებული ქვრივი ნაპირზე იდგა, როდესაც მას გამოეცხადა წმ. გიორგი, რომელმაც ჰკითხა, თუ სად, ეკლესიის რომელ ადგილას სურდა ამ სვეტის აღმართვა. შემდეგ კი თითოთ დაწერა სვეტზე ქვრივის სურვილი, რომ მარჯვნივ, მეორე სვეტად აღმართულიყო. სვეტი სასწაულებრივად შეცურდა ზღვაში და სანამ იმპერატორის გემი უკან დაბრუნდებოდა, ის უკვე ქალაქის სანაპიროზე აღმოჩნდა. მეფის მოსამსახურემ იცნო სვეტი და ამ სასწაულით გაოგნებულმა თავისი ქედმაღლობა შეინანა. სვეტი აღმართეს ისე, როგორც მასზე იყო წარწერილი, და ეს წარწერა კიდევ მრავალი საუკუნე იკითხებოდა.¹⁵ თუ რა მიზნით დამჭირდა მკითხველისთვის ამ სასწაულის შესხენება, ეს ოღნავ ქვემოთ გაირკვევა.

Eretz Israel in the Hellenistic, Roman and Byzantine Periods; Maps and Gazetteer, p. 171. Israel Academy of Sciences and Humanities, 1994; Православная Энциклопедия, Т. 10, ст. 665-692.

13 Denys Pringle, *The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem: A Corpus: Volume 2, L-Z*, p. 10.

14 Православная Энциклопедия, Т. 10, ст. 665-692.

15 Православная Энциклопедия, Т. 10, ст. 665-692.

715 წელს მომავალმა ხალიფამ, სულეიმან იბნ აბდ ალ-მალიქმა, პალესტინის პროვინციაში (Filastin) მისი მმართველობის დროს ლუდიდან ცოტა მოშორებით, 3-4 კმ.-ში ახალი ქალაქი, რამლა/Ramla (არაბ. الرملة არ-რამლა = ქვიშა; წყაროებში იხსენიება ასევე შემდეგი ფორმებით: Rama, Ramatha, Ramelie, Rames, Ramle, Ramola, Ramula;¹⁶ არ უნდა აგვერიოს დღევანდელი პალესტინის ავტონომიის ადმინისტრაციულ ცენტრ რამალა/Ramallah-ში) დააარსა, რომელიც პროვინციის მთავარი ქალაქი გახდა. ამ დროიდან იწყება ლუდის დაკნინება და რამლას აყვავება. სულეიმანმა რამლაში ძალით გადაასახლა ლუდის ქრისტიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი, რის შედეგადაც ეს, ერთ დროს მნიშვნელოვანი ქალაქი, მომცრო სოფლად გადაიქცა. ამიტომაც, ამ დროიდან, ლუდის და რამლას გაიგივება იწყება; სხვადასხვა წერილობით ცნობებში ხშირად ლუდს რამლას ნაწილად განიხილავდნენ. ფრანკი აბატი ბერნარდი (870 წ.), რომელიც წმინდა მიწაზე ჯვაროსნების გამორჩენამდე ჩვენთვის ცნობილი ბოლო დასავლელი პილიგრიმი იყო,¹⁷ წმ. გიორგის მონასტერზე საუბრისას ლუდს სულ არ ახსენებს და მას რამლას ახლოს მდებარე მონასტრად მოიხსენიებს: „შემდეგ ჩვენ მივალწიეთ ელ-არიზამდე, და ელ-არიზადან მივედით რამლაში, რომლის ახლოსაც არის მონასტერი ნეტარი გიორგისა, მოწამისა, სადაც ის განისვენებს. რამლადან ჩვენ მივისწრაფეთ სოფელ ემაუსამდე და ემაუსიდან მივალწიეთ წმინდა ქალაქ იერუსალიმამდე.“¹⁸ შესაძლოა, რომ რამლაში დასახლებულმა ქრისტიანებმა იქ გადაიტანეს წმ. გიორგის კულტიც, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, თუმცა ცნობილია, რომ ლუდი კიდევ დიდხანს ინარჩუნებდა რელიგიური ცენტრის მნიშვნელობას. რამლაში წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობაზე ცნობები კი შედარებით გვიანდელ წყაროებში გვხვდება.

რამლას დაარსებიდან სულ მალე, უკვე IX საუკუნის დასაწყისიდან, ზოგიერთ ბიზანტიურ ხელნაწერში ჩნდება ზემოთ მოთხრობილი „ქვრივის სვეტის სასწაულის“ ახალი ვერსიები, რომელშიც ქალაქს, სადაც წმ. გიორგის ეკლესია აშენდა და ქვრივის სვეტი აღიმართა, რამლა ეწოდება. ისტორიკოს ა. ვინოგრადოვის აზრით, „ქვრივის სვე-

16 D. Pringle, The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem: A Corpus: Volume 2, L-Z, p. 181.

17 Jack Finegan, The Archeology of the New Testament: The Life of Jesus and the Beginning of the Early Church. Princeton University Press, 1992, p. XXI.

18 “Then we reached el Ariza (el-Arish), and from el Ariza we came to Ramla, near which is the monastery of Blessed George the Martyr in which he lies buried. From Ramla we hurried on to the village of Emmaus, and from Emmaus we reached the holy city of Jerusalem”. Bernard the Monk, Itinera, 314, ca. 870, translated by J. Wilkinson, Jerusalem Pilgrims before Crusades, Warminster 1977, p. 142.

ტის სასწაულის“ ძველ ვერსიებში საუბარია პერიოდზე, როდესაც პალესტინა ბიზანტიის შემადგენლობაში იყო (637 წ-მდე); შესაბამისად, იმპერატორი, რომელმაც ტაძრის რეკონსტრუქცია ბრძანა, იუსტინიანე I (527-565) უნდა ყოფილიყო, რომელმაც ტაძარი ლუდში ააშენა და არა – რამლაში. ვინოგრაფიის მტკიცებით, 784 წელს რამლაში აშენებულ წმ. გიორგის ტაძარში ლუდიდან უნდა გადმოეტანათ წმ. გიორგის წმინდა ნაწილები, თუმცა ეს არავითარი წყაროებით არ მტკიცდება.¹⁹ ჩემი აზრით, პალესტინის ადმინისტრაციული ცენტრის რამლაში გადმოტანასა და დაკნინებული ლუდის მის სატელიტად ქცევას უნდა გამოეწვია ის, რომ „ქვრივის სვეტის სასწაულის“ მოგვიანო ვერსიებში წმ. გიორგის საფლავისა და ტაძრის ადგილსამყოფლად რამლა სახელდება.

საინტერესოა, რომ ზემოთ აღნიშნული ვითარება დადასტურებულია, ასევე, ქართულ ხელნაწერებშიც. თხზულება, რომლის სათაურიცაა „უწყებად საკვრველებათათვის წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა გიორგისთა“, ქართულად შემორჩენილია სამი ხელნაწერით: 1. ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოლდეს კოლექციის XI ს-ის ხელნაწერი; 2. XIII-XIV სს-ის Q-762 ხელნაწერი; და 3. იერუსალიმის (Jer-2) XI ს-ის ხელნაწერი. ამათგან მხოლოდ პირველი ორი შეიცავს „ქვრივის სვეტის სასწაულს.“ ამ რედაქციით, წმ. გიორგის საფლავი და ეკლესია პალესტინის უსახელო დაბაში, წმინდანის დედუღეთში მდებარეობს: „პალესტინეს უკუე, დედუღეთსა დაბასა წმიდისა გიორგისსა, სადაიგი სხენან ყოვლად წმიდანი ნაწილნი მისნი, სახელსა მისსა ზედა აღშენებულსა ტაძარსა ინება მეფემან უვრცელესადრე აღშენებად და უაღრესსა სიკეთესა მოყუანებად.“²⁰ ცხადია, ეს ვერსია ადრეულ ბიზანტიურ რედაქციის თარგმანია. ქართულად ასევე გვაქვს კიდევ ერთი თხზულება სათაურით „სასწაულნი წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისი“, ორი ხელნაწერით შემორჩენილი: 1. Q-757 ხელნაწერი 1790 წლისა; და 2. A-308 ხელნაწერი 1803 წლისა. მასში ასევე მოყვანილია „ქვრივის სვეტის სასწაული“, თუმცა, ძველისგან განსხვავებული რედაქცია, სადაც ვკითხულობთ: „კერძოთა სირიისათა იყო ქალაქი, სახელით რამელა, რომელსაცა შინა აშენებდენ ეკლესიასა ქვისასა სახელსა ზედა წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისსა.“²¹ ე. გაბიძაშვილის მართებული დასკვნით, ამ გვიანდელ ხელნაწერებში დაცული ტექსტი

19 Бугаевский А. В., Владимир (Зорин), игум. Житие, страдания и чудеса св. вмч. и Победоносца Георгия и св. мц. царицы Александры. М., 1998, ст. 32-33; Православная Энциклопедия, Т. 10, ст. 665-692.

20 წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ენრიკო გაბიძაშვილმა, თბ., 1991, გვ. 86-90.

21 წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, გვ. 204.

ნათარგმნი უნდა იყოს რუსულიდან, რომელიც, თავის მხრივ, ბერძნულიდან ითარგმნა.²² აქ უკვე საქმე გვაქვს შედარებით გვიანდელ ბიზანტიურ რედაქციაზე, რომელიც IX ს-ში ჩნდება და რომელშიც ქალაქის სახელწოდება რამლა/რამელა არის დაფიქსირებული.

გარდა ამისა, საინტერესო ვითარება გვაქვს, ასევე, ძველ ქართულ კალენდარულ ძეგლებშიც. კერძოდ, V-VII ს-ის იერუსალიმურ-პალესტინური ლიტურგიკული პრაქტიკის ამსახველ ძეგლში – „იერუსალიმის კანონარი“, რომელიც ქართულად VIII საუკუნეშია ნათარგმნი,²³ 3 ნოემბერს წმ. გიორგის ხსენება არ გვაქვს. ათონამდელი პერიოდის კალენდრებიდან შედარებით გვიანდელ, იოანე-ზოსიმეს X ს-ის კალენდარში 3 ნოემბერს დადგენილია წმ. გიორგის ეკლესიის სატფურება „რამლასა შინა ლუდასა“: „და გიორგიწმიდისა ეკლესიასა სატფური რამლასა შინა ლუდასა“.²⁴ გიორგი მთაწმინდელის „თთუნში, ამავე დღეს აღნიშნულია: „წმიდისა გიორგისი და სატფურებად ლუდიას წმიდისა ტაძრისა მისისა“.²⁵ აშკარაა, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ლუდთან და მასში მდებარე წმ. გიორგის ეკლესიასთან, რომელიც ადმინისტრაციულად რამლას ნაწილი იყო.

სამაგიეროდ 10 ნოემბერს, იერუსალიმის კანონარის კ. კეკელიძის მიერ გამოცემულ ხელნაწერში (ლატალის), ამ დღეს დადებულია წმ. გიორგის ხსენება და მისი ეკლესიის სატფურება თუმცა, კონკრეტული გეოგრაფიული ადგილის მითითების გარეშე: „კსენებად წმიდისა გიორგისი და სატფური ეკლესიისა“.²⁶ თუმცა, მ. თარხნიშვილის მიერ გამოცემულ „ლექციონარში“, პარიზულ ხელნაწერში უკვე მითითებულია, თუ რომელი ეკლესიის სატფურება ხდება – ესაა ეკლესია „ენბიგონეს დაბასა“: „კსენებად წმიდისა გიორგისი და ენბიგონეს დაბასა სატფური ეკლესიისა“.²⁷ ამასვე ეთანხმება იოანე-ზოსიმეს კალენდარი, სადაც ვკითხულობთ: „ენბიგლონს დაბასა კსენებად წმიდისა გიორგისი და სატფური ეკლესიისა“ აღსანიშნავია, რომ დაბა ენბი-

22 წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, გვ. 23.

23 ე. გაბიძაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია, თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის გამომცემლობა, თბ. 2011, გვ. 28.

24 Le Calendrier palestino-géorgien du Sinaiticus 34 (X s.), Édité, traduit et commenté par G. Garitte, Bruxelles, 1958, 102; მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი, ედ. ჭელიძის გამოცემა, თბ., 2001, გვ. 176, 179.

25 მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი... გვ. 176.

26 К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь VII века (Грузинская версия). Тифлис, 1912, ст. 141, 142.

27 Le grand lectionnaire de l'Église de Jérusalem (Ve-VIIIe siècle), I-II. Édité par M. Tarchnischvili, Louvain, 1959-1960. 61; Le Calendrier palestino-géorgien du Sinaiticus 34 (X s.), Édité, traduit et commenté par G. Garitte, Bruxelles, 1958.

გონე/ენზიგლონი დღემდე ინდენტიფიცირებული არ არის, თუმცა, ჩემი აზრით, ეს პალესტინაში წმ. გიორგის თაყვანისცემის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ყოფილიყო ლუდის შემდეგ.²⁸ გიორგი მთაწმიდლის სვინაქსარი, როგორც ზემოთ ითქვა, 10 ნოემბერს წმ. გიორგის ურმის თვალზე წამების დღედ მიიჩნევს და მას რომელიმე კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილთან არ აკავშირებს: „წმიდისა მოწამისა გიორგისი ურმის თავსა შესლვად, რაჟამს დაჰკრეს ურმის თუალსა.“

ყოველივე ზემოთ თქმულიდან, უძველესი ქართული კალენდრებისა და პალესტინის ისტორიის გათვალისწინებით, წმ. გიორგის კულტის უძველეს პერიოდში უნდა გამოიყოს რამდენიმე ეტაპი:

1. არაბების მიერ პალესტინის დაპყრობამდე წმ. გიორგის კულტი არსებობდა პალესტინის ქალაქ ლუდში, სადაც იყო მისი საფლავი და ეკლესია/მონასტერი. მისი აშენება ან განახლება მიეწერება იმპერატორ იუსტინიანე I-ს, რომლის დროსაც დაწესდა ამ ეკლესიის სატფურების დღესასწაული 3 ნოემბერს. სავარაუდოდ, ამავე პერიოდში, ამ ეკლესიის სატფურების დღესასწაულის წარგზავნა, ანუ მისი სწორი, ანუ მსგეფსი აღნიშნებოდა პალესტინის სხვა ქალაქებშიც ერთი კვირის შემდგომ, 10 ნოემბერს.

2. არაბების მიერ ქალაქ ლუდის დაპყრობისა და მის ახლოს ახალი ქალაქის, რამლას დაარსების შემდეგ (715 წ.) კინდება ლუდის, როგორც ადმინისტრაციული ცენტრის მნიშვნელობა. ლუდი თითქმის იცლება მოსახლეობისგან, მისი დიდი ნაწილი რამლაში გადადის და ის პატარა, უმნიშვნელო სოფლად გადაიქცევა. ამავე პერიოდში, შესაძლოა, დროებით შეწყვეტილიყო 3 ნოემბერს თავად ლუდში გიორგობის სატფურების დღესასწაულის აღნიშვნა, თუმცა, წმ. გიორგის თაყვანისცემის სხვა ადგილებში უნდა შენარჩუნებულიყო სატფურების დღესასწაულის მსგეფსის აღნიშვნა 1 კვირის თავზე, 10 ნოემბერს. ამ ვითარებას ასახავს უძველესი ქართული იერუსალიმური ლექციონარი (კანონარი), რომლის თანახმადაც, 3 ნოემბერს წმ. გიორგის ხსენება დადებული არ არის, მაგრამ 10 ნოემბერს გვაქვს წმ. გიორგის ხსენება და მისი ეკლესიის სატფურება ერთ შემთხვევაში (ლატალის ლექციონარი) ადგილის მითითების გარეშე, ერთგან (პარიზული ლექციონარი) კი მითითებით: ენზიგონეს დაბასა.

3. მესამე პერიოდში, VIII ს-დან მოყოლებული, წყაროებში წმ. გიორგის თაყვანისცემა რამლასთან(აც) ასოცირდება. ამას ადასტუ-

28 Le Calendrier palstino-géorgien du Sinaiticus 34 (X s.), Édité, traduit et commenté par G. Garitte, Bruxelles, 1958, 380; ენზიგონე/ენზიგლონის იდენტიფიკაციის საკითხზე მზადდება ჩვენი წერილი, რომელსაც მკითხველს სხვა დროს შევთავაზებ.

რებს როგორც დასავლელი პილიგრიმის, აბატი ბერნარდის ცნობა (იხ. ზემოთ), ასევე იოანე ზოსიმეს კალენდარიც, სადაც 3 ნოემბერს დადებულია წმ. გიორგის ხსენება „რამლასა შინა ლუდასა“. ვითარების ამგვარ ცვლილებასთანაა დაკავშირებული ასევე ზემოთ განხილული „ქვრივის სვეტის სასწაულის“ მოქმედების გადმოტანაც ლუდიდან რამლაში.

ამ მიმოხილვის შემდეგ ნათლად წარმოჩნდა, რომ ლუდის წმ. გიორგის უძველესი კულტის ადგილად, სხვადასხვა ისტორიული კატაკლიზმების მიუხედავად, მაინც რჩებოდა ლიდა, თუმცა მისი ადგილმდებარეობის აღნიშვნაში ერთგვარი გაორება ხდებოდა. VIII საუკუნის დასაწყისში რამლას დაარსებამ და მისმა, როგორც პალესტინის ადმინისტრაციული ცენტრის აღზევებამ, ლუდის დაკნინება გამოიწვია, რაც იმის მიზეზი გახდა, რომ წმ. გიორგის ეკლესიის ადგილსამყოფლად სულ უფრო ხშირად მის ახლოს მდებარე რამლა სახელდებოდა. ამ გარემოებათა გარკვევის შემდეგ, მივადეთ ჩვენი წერილის მთავარ საკითხს: როგორ უკავშირდება არიმათია წმ. გიორგის კულტს და საიდან უნდა მიეღო მარჩაანის ეკლესიას არმათიონის სახელი?

საქმე ისაა, რომ ბიბლიური ქალაქი არიმათია, საიდანაც ქრისტეს ფარული მოწაფე, იოსებ არიმათიელი იყო წარმოშობით (მათ. 27:57; მარკ. 15:43; ლუკ. 23:50; იოან. 19:38), შუა საუკუნეებში რამდენიმე ადგილთან იდენტიფიცირდებოდა. მათ შორის, ძირითადად, იყო ისეთი ქალაქები, რომელთა სახელიც მომდინარეობს ძირიდან ram, რაც არაბულად გორაკს, შემადღებულ ადგილს ნიშნავს.²⁹ IV საუკუნის საეკლესიო მოღვაწის, ევსები კესარიელის (დაახლ. 263-340) „ონომასტიკონში“ (Περὶ τῶν τοπικῶν ὀνομάτων) არიმათია ძველი აღთქმის ქალაქ რამათაიმ-ცოფიმთან (ებრ. רַמַּת־צֹפִים; 1 მეფ. 1:19; 2:11; 2:11; 7:17; 15:34; 16:13; 19:18-23; 25:1) არის გაიგივებული: „არმათემ სიფა (Ἀρμαθὲμ Σειφά) – ელკანას და სამუელის ქალაქი; ის დიოსპოლის ახლოს მდებარეობს და იქიდან იყო იოსები, რომელზედაც სახარებაში ნათქვამია: იყო არიმათიად.“³⁰ ევსების შრომის ლათინურად მთარ-

29 D. Pringle, The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem: A Corpus: Volume 2, L-Z, p. 181; D. Pringle, Two Medieval Villages North of Jerusalem: Archaeological Investigations in Al-Jib and Ar-Ram. Levant 15, 1983, p. 161, n 110.

30 ბერძნული ტექსტი ლათინური თარგმანითურთ იხ. Eusebii Pamphili Episcopi Caesariensis Onomasticon: urbium et locorum Sacrae Scripturae. Ed. F. Larsow, G. Parthey, Parisii-Londini, Berolini, 1862, pp. 60-61; რუსული თარგ.: Евсевий Памфил. О названиях местностей, встречающихся в священном писании. Блаженного Иеронима, пресвитера Стридонского. О положении и названии еврейских местностей. Пер. И. Помяловского. Православный палестинский сборник, т. 13, вып. 1. СПб., 1894; ინგლისური თარგ.: The Onomasticon of Eusebius Pamphili:

გმნელი და რედაქტორი, ნეტარი იერონიმეც თავის თარგმანში (De situ et nominibus locorum hebraicorum) შესაბამის ადგილას იმავეს აღნიშავს: „არმათემ სოფიმ (Armathem Sophim) – ელკანას და სამუელის ქალაქი, ტამნითის მხარეში, დიოსპოლის ახლოს; იქიდან იყო იოსები, რომელსაც სახარებაში ეწოდება: არიმათიელი.“³¹ თავის მხრივ, არიმათია-რამათაიმს ევსები მის თანამედროვე რუმასთან, ანუ რემფისთან (დღევანდ. Rantis) აიგივებს: „რუმა (Ρουμα) – იგივე არია (Αρία), სადაც იჯდა აბიმელეჟი, როგორც მსაჯულთა წიგნში წერია (მსაჯ. 9:41); ახლა რემფისი ჰქვია (Ρεμφίς) და დიოსპოლისის საზღვრებშია; ეს იგივე არიმათიაა (Αριμαθία)“ ნეტარი იერონიმეს თანახმადაც: „რუმა (Ruma) – იგივე არიმა (Arima), სადაც აბიმელეჟი იჯდა, დიოსპოლისის საზღვრებშია და ბევრი მას არიმათიას (Arimathaea) უწოდებს.“³² აღსანიშნავია, რომ ძველი აღთქმის ებრაული „რამათაიმ“ ძვ. ქართულ თარგმანში გადმოდის როგორც „არმათემი“, ბერძნული Αριμαθια-იდან (ვულგ. არის Ramatha).

ევსებიდან და იერონიმედან მომდინარე ტრადიციამ შუა საუკუნეებში მყარად მოიკიდა ფენი. თავდაპირველად, ჯვაროსნებიც ევსების მიერ დამკვიდრებულ ტრადიციას მიჰყვებდნენ და არიმათიად ქალაქ რანთისს მოიხსენიებდნენ. რანთისი ჯვაროსნულ წყაროებში შემდეგი სახელებით იყო ცნობილი: Arimathia, Arimatie, Abarimatie, Rantis;³³ მაგრამ, მოგვიანებით, ტრადიცია იცვლება და არიმათია, ძირითადად, რამლაში³⁴ ან რამაში (დღევანდელი Al-Ram) ლოკალიზდება; ეს უკანასკნელიც ჯვაროსნულ წყაროებში სხვადასხვა ფორმით იხსენიება: Aram, Haram, Rama, Ramatha, Ramitta, ან Ramathes.³⁵ ასეთი ცვლილებების მიზეზი შეიძლება ყოფილიყო რამლას სტრატეგიული მნიშვნელობა ჯვაროსანთა წმ. მიწაზე დამკვიდრების დროს, როგორც ადმინისტრაციული, ასევე რელიგიური თვალსაზრისით, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ლუდიც მის შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა. ალბათ ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ 1187 წელს რანთისი ეგვიპტის სულთანმა სალაჰ-ად-დინმა დაიპყრო და ჯვაროს-

Compared with the version of Jerome and annotated. Trans. Umhau Wolf, Washington, D.C.: Catholic University of America Press, 1971, p. 13, 109, n. 144.

31 იქვე.

32 იქვე, Eusebii Pamphili Episcopi Caesariensis Onomasticon, გვ. 316-317.

33 D. Pringle, The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem: A Corpus: Volume 2, L-Z, p. 199-200.

34 The Encyclopaedia of Islam, New edition. Ed. by C.E. Bosworth, E. van Donzel, W.P. Heinrichs & G. Lecomte. Vol. VIII, Leiden, E.J. Brill, 1995, p. 424.

35 D. Pringle, The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem: A Corpus: Volume 2, L-Z, p. 179.

ნებს ის აღარასოდეს დაუბრუნებიათ;³⁶

პირველი, ვინც არიმათია რანთისიდან რამლაში, ანუ რამათაში „გადაიგანა“ XII ს-ის დასავლელი პილიგრიმი ბერი თეოდორიკუსი იყო (1169-1172 წწ.); ის ახსენებს „რამათას, დიდ ქალაქს, რომელსაც ახლა რამესი ეწოდება; საიდანაც იყვნენ ელკანა, სამუელ წინასწარმეტყველის მამა და და ანნა – დედამისი.“³⁷ ამის შემდეგ, ანალოგიური ინფორმაცია ჩნდება XIII საუკუნეში მოღვაწე გერმანელი დომინიკანელი პილიგრიმის, ბურხარდ სიონისმთელის (Burchardus de Monte Sion) თხზულებაში, რომელმაც 1274-1284 წლებში წმინდა მიწაზე იმოგზაურა. კერძოდ, ის წერს: „იერუსალიმიდან 10 ლიებზე არის რამათაიმ-ცოფიმი, რომელიც ნაწილობრივ ბენიამინის ტომში იყო და ნაწილობრივ – ეფრაიმის ტომში... მას ეწოდებოდა არიმათია, საიდანაც არის იოსები, პატიოსანი მრჩეველი, რომელმაც დაკრძალა უფალი. წინასწარმეტყველი სამუელი დაიბადა აქ და აქვე იქნა დამარხული. დღეს მას [ქალაქს] რამულა ეწოდება.“³⁸ ამ დროიდან რამლას და არიმათიას გაიგივება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. მაგ. გერმანელი მღვდელი და მოგზაური ლუდოლფ ზუხემელი (Ludolph von Suchem, ასევე – Ludolf von Sudheim), რომელმაც 1336-1341 წლები წმინდა მიწაზე დაჰყო, ქვ. ალთქმის რამათას (= რამათაიმ-ცოფიმ; ვულგ. Ramatha), სამუელის ქალაქ რამლასთან აიგივებს და, ამავე დროს – არიმათიასთან, იოსებ არიმათიელის სამშობლოსთან.³⁹ ასევეა გაიგივებული რამლა/რამა

36 D. Pringle, The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem: A Corpus: Volume 2, L-Z, p. 199-200.

37 D. Pringle, The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem: A Corpus: Volume 2, L-Z, p. 185; იხ. Peregrinationes tres: Saewulf, John of Würzburg, Theodericus. ed. Robert B. C. Huygens, (Corpus Christianorum, Continuatio Mediaevalis, 139.) Turnhout: Brepols, 1994.

38 “Ten leagues from Jerusalem is Ramathaim Zophim, which was partly in the tribe of Benjamin and partly in the tribe of Ephraim; it stands on Mount Ephraim, as that plain is called, albeit it is not am mountain, but a plain. It was called Arimathea, whence came Joseph, the honourable counsellor, who buried the Lord. The prophet Samuel was born here and was buried here. At this day it is called Ramula”. The library of the Palestine Pilgrim’s Text Society, Burchard of Mount Sion, London, 1896, p. 86. მართალია, ბურხარდის ინგლისური თარგმანის გამომცემელი კომენტარში ზოგადად შენიშნავს, რომ რამათაიმ-ცოფიმი XII ს-ში რამლაში (Ramleh) ლოკალიზდებოდა, მაგრამ მე ვერ მოვიძიე ბურხარდზე აღრინდელი ცნობა.

39 “After seeing many sights, one leaves Jerusalem on the left, and comes to the city of Ramatha, once a fair city, and to this day tolerably well peopled, standing on Mount Ephraim. ... The prophet Samuel was born in this city, and buried in it. ... Not far from Ramatha was a once fair, but now deserted, city named Arimathea, the birthplace of Joseph who buried Christ.” The library of the Palestine Pilgrim’s Text Society, Ludolph von Suchem’s Description of the Holy Land, London, 1895, p. 121-122.

და არიმათია XV საუკუნის ანონიმი რაინელი პილიგრიმის,⁴⁰ ფრანგი ლუი როშეშუარის (Louis de Rochechouart; 1461 წ.),⁴¹ მამა ალექსანდრე ბონონიელის (Fratri Alexandri Ariosti de Bononia; 1473 წ.),⁴² ანონიმი პარიზელი პილიგრიმის (1480 წ.),⁴³ დომინიკანელი ბერის, ფელიქს ფაბერის (Felix Faber ან Felix Fabri; 1480-1483 წწ.),⁴⁴ ნიკოლოზ ეპისკოპოსისა (Nicolas eveque d' Acquirmann; 1483 წ.)⁴⁵ და კლაეს დუეზენის (Claes van Duesen; 1484-1496 წწ.)⁴⁶ აღწერილობებში.

საინტერესო ცნობას იძლევა XVI საუკუნის ფრანგი თეოლოგი ჟან თენო (Jean Thénaud; 1512 წ.), რომელიც წერს: „რამლასი არის სასტუმრო მომლოცველებისთვის, რომელიც კეთილშობილმა გრაფმა, ფილიპე ბურგუნდიელმა ააგო. აქ დაიბადნენ მაკაბელები. იქვე არის ადგილი, სადაც წმინდა პეტრემ განრღვეული ენეა განკურნა. აქედან ორ მილში არის ქალაქი ლიდა, სადაც წმინდა გიორგი ეწამა; შემდეგ გაივლი არიმათიას, საიდანაც იყო წმინდა იოსები, რომელმაც ჩვენი უფალი დაკრძალა.“⁴⁷ (შეადარეთ ზემოთ იღუმენ დანიელის სიტყვებს: „და აქ იყო ძალიან დიდი ქალაქი, რომლის სახელიც იყო ლიდა, ახლა კი მას რამბილია ეწოდება. და იმ ლიდაში განკურნა პეტრემ ენეა, სარეცელზე მდებარე“). ჟან თენოს აღწერილობიდან ჩანს, რომ იგი რამდენიმე ტრადიციას ეყრდნობა: 1. მაკაბელების წარმოშობის ადგილად მიიჩნევს რამლასს. თუმცა, ცნობილია, რომ ხასმონიანთა დინასტია, რომელსაც მაკაბელები მიეკუთვნებოდნენ, წარმოშობით დაბა მადიინიდან იყო. მადიინი კი, მეორე ტაძრის ეპოქაში, ლუდიის ტოპარქიაში (ბერძ. Τοπαρχία, ადმინისტრაციული ოლქი) შედიოდა.⁴⁸ აქედან გამომდინარე უნდა დაეკავშირებინა ავტორს ეს სამი პუნქტი ერთ-

40 Ludwig Conrady. Vier Rheinische Palaestina – Pilgerschriften des xiv, xv, und xvi Jahrhunderts, Weisbaden, 1882, pp. 118–119.

41 Camille Couderc, Journal de voyage à Jérusalem de Louis de Rochechouart, évêque de Saintes, Revue de l'Orient Latin, T. 1, Paris, 1893, s. 240-241.

42 Fratri Alexandri Ariosti de Bononia Topografia Terrae Promissionis, ed. Marcellino da Civezza, Rome, 1863, p. 31. მითითებულია წიგნიდან: Adrian J. Boas, Domestic settings: sources on domestic architecture and day-to-day activities in the crusader states, Leiden-Boston, Koninklijke Brill, 2010, p. 323.

43 Le Voyage de la sainte cyté de Hiérusalem, by Ch. Schefer, Paris 1882, pp. 67-69, 98-99.

44 Felix Fabri, Palestine Pilgrims' Text Society, vol I, part I. London, 1896, p. 265.

45 Archives de l'Orient latin, Société de l'Orient latin, vol. 2, Paris. Published 1884, 400 ff.

46 Ludwig Conrady. Vier Rheinische Palaestina – Pilgerschriften des xiv, xv, und xvi Jahrhunderts, Weisbaden, 1882, pp. 206-207.

47 Le voyage d'Outremer: (Égypte, Mont Sinay, Palestine) de Jean Thenaud, Paris, 1884, p. 117.

48 Модифин, Электронная еврейская энциклопедия (იხ. <http://www.eleven.co.il/article/12810>).

მანეთთან; 2. ავტორი რამლას უკავშირებს პეტრეს მიერ ენეას განკურნების ადგილს, თუმცა, ახალ აღთქმაში გარკვევით წერია, რომ ეს სასწაული ლუდში მოხდა: „და იყო, იქცეოდა რად პეტრე ყოველთა მათ ადგილთა, შთავიდა წმიდათა მათცა, რომელნი მკვდრ იყვნეს ლუდიას. და პოა მუნ კაცი ვინმე, რომელსა სახელი ერქუა ენეა, რვა წლითგან ქუემდებარე ცხედარსა ზედა, რომელი იყო განრღვეულ. და ჰრქუა მას პეტრე: ენეა, განკურნებს შენ უფალი იესუ ქრისტე, აღდგე და გარდაყარენ სარეცელნი შენნი. და მეყსეულად აღდგა. და იხილეს იგი ყოველთა მკვდრთა ლუდიისათა და სარონოსათა, რომელთა-იგი მოაქციეს უფლისა.“ შესაბამისად, ჟან თენო ლუდიას რამლას შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს; 3. ამავე დროს, ის რამლადან ორ მილში ათავსებს ქალაქ ლიდას, სადაც წმ. გიორგი ეწამა; და 4. არიმათია, საიდანაც იოსებ არიმათიელი იყო, ცალკე ქალაქად არის განხილული; სავარაუდოდ, მასში რამა (Al-Ram) იგულისხმება (რაც ქვემოთ მოყვანილი ცნობით მტკიცდება). ამ წინააღმდეგობრივი ცნობებიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ჟან თენო სხვადასხვა ეპოქის სხვადასხვა ტრადიციებს ეყრდნობოდა და მათ გამთლიანებას ცდილობდა.

ასეთივე წინააღმდეგობებით სავსე ცნობების მორიგების მცდელობაა ასახული XV-XVI სს-ის იტალიელი ფრანცისკანელი ბერის, ფრანჩესკო სურიანოს (Francesco Suriano) თხზულებაში *Il trattato di Terra Santa dell'Oriente*. მან რამდენჯერმე იმოგზაურა აღმოსავლეთში (1485, 1514, 1524 წწ.) და საკმაოდ მდიდარი და საინტერესო ინფორმაცია დატოვა მისი დროის წმინდა მიწაზე. რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხს, ის მიიჩნევს, რომ 1. ქალაქი (cità) რამა/რამლა (Rama) მაკაბელთა ქალაქია; 2. აღნიშნავს, რომ რამლადან ორ მილში მდებარე დაბა (villa) ლუდში (Lyda) წმ. პეტრე მოციქულმა განრღვეული ენეა განკურნა და წმ. გიორგის თავი მოჰკვეთეს; 3. ქალაქ რამათაზე (cita de Ramatha) კი ამბობს, რომ მას ეწოდება არამი (Aram), საიდანაც არის წარმოშობით იოსებ არიმათიელი.⁴⁹

ამასთან, შესაძლოა, პირდაპირ კავშირში არც იყოს, მაგრამ აქვე, ალბათ, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ მხოლოდ ქართულ ენაზე შემორჩენილია ერთ-ერთი უძველესი აპოკრიფი, სათაურით „წიგნი, რომელი დაწერა იოსებ არიმათიელმან, მოწაფემან უფლისა ჩუენისა იუსუ ქრისტესმან, და თხრობად აღმშენებისათვის ეკლესიისა, რომელი იგი არს ლუდიას შინა, ქალაქსა წმიდისა დედუფლისა ჩუენისა მარიამ ღმრთისმშობელისადა“, რომელიც, მკვლევართა ვარაუდით, აღნიშნუ-

49 Francesco Suriano, *Il trattato di Terra Santa dell'Oriente*, ed., G. Golubovich, Milan, 1900, pp. 19-20.

ლი აპოკრიფი სირიულიდან ან არაბულიდან უნდა ეთარგმნათ. აპოკრიფი მოგვიტხრობს იოსებ არიმათიელის მიერ ქალაქ ლუდში პირველი ეკლესიის მშენებლობის შესახებ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ძველთაგანვე, ლუდი და მისი მიდამოები იოსებ არიმათიელის სახელთან ასოცირდებოდა.⁵⁰

ახლა, როდესაც გაირკვა, რომ XVI საუკუნიდან მოყოლებული არიმათიის სტატუსს მხოლოდ რამლალა ინარჩუნებდა, ვნახოთ, როგორ აისახა ეს ტრადიცია ქართულ ლიტერატურაში. რასაკვირველია, ქართველი პილიგრიმები ოდითგანვე მოგზაურობდნენ წმინდა მიწაზე და, სავსებით შესაძლებელია, აღწერდნენ კიდევაც თავიანთ მოგზაურობას, მაგრამ ამ სახის აღწერებს ჩვენამდე, სამწუხაროდ, არ მოუღწევია, ვიდრე XVIII საუკუნემდე. მთავარეპისკოპოსმა ტიმოთე გაბაშვილმა 1755-1759 წლებში კონსტანტინოპოლში, ათონის მთაზე, წმინდა მიწაზე და სხვა ადგილებში იმოგზაურა და ძვირფასი ჩანაწერები დაგვიტოვა ამ მოგზაურობის შესახებ. იგი, თავისი თხზულების რამდენიმე ადგილას, რამლას პირდაპირ უწოდებს არიმათიას: „და მოვიწიენით არიმათიად (და აწ რუმლად უწდეს) და ლუდიად, და მონასტერსა შეგვიწყნარეს. და ლუდია(ს) ახლოდ – საფლავი წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისი.“⁵¹ სხვა ადგილას ტიმოთე რამლას უწოდებს არიმათიას, იოსებ არიმათიელის სამშობლოს: „და მივიწიენით არიმათიად, ქვეყანასა იოსებისასა.“⁵² „მიმოსვლის“ სხვა რედაქციებში „რუმლი“, ანუ არიმათია „რემლადაც“ იწოდება: „დღესა ერთსა მოვიდა თურქი, უფროსი რემლისა, და წარმოვედით ... და მოვიწიენით რემლად, მონასტრად ბერძენთა, და დავადგერით მუნ.“⁵³

სამწუხაროდ, ტიმოთე გაბაშვილი არაფერს წერს რამლას ეკლესიებზე და კონკრეტულად წმ. გიორგის ეკლესიაზე, მაგრამ სხვა ადგილას, ათონის მთაზე ზოგრაფის ბულგართა მონასტრის დაარსების თქმულება მოჰყავს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება რამლას წმ. გიორგის ეკლესიას და მის სასწაულმოქმედ ხატს. ამ საინტერესო

50 ტექსტი იხ.: Н. Марр, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, II, 1900, СПб, ст. 5-72; კლარჯული მრავალთავი, თბილისი, 1991. გვ. 294-299; იხ. ასევე: ნესტან ჩხიკვაძე, იოსებ არიმათიელის ავტორობით ცნობილი ლუდიის ეკლესიის დაარსების აპოკრიფი, ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, თბილისი, 1997, გვ. 60-65 და Nestan Tchkhikvadze, 'Une traduction géorgienne d'un original perdu. L'histoire de l'apocryphe de Lydda', Apocrypha, 8 (1997), pp. 179-191.

51 ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, ე. მეტრეველის გამოც., თბ., 1956, გვ. 68. ამის შემდეგ ტიმოთეს მოჰყავს ცნობილი, მხოლოდ ქართულ ენაზე შემონახული აპოკრიფული თხზულების შინაარსი ლუდში პირველი ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობის შესახებ, ისობე არიმათიელისა და მაცხოვრის მციქულების მიერ.

52 იქვე, გვ. 93.

53 იქვე, გვ. 120.

თქმულების ორი რედაქცია არსებობს – A და B;⁵⁴ ამჯერად მომყავს A რედაქციის ვერსია, რომლისგანაც B რედაქცია დიდად არ განსხვავდება:

„... და ვიკითხვედი რა აღშენებისათვის მონასტრისა, ხოლო მათ მოგვითხრეს ესრეთ: რამეთუ ისტვინიანე მეფისა ბერძენთასა ძმისწულთა ერვენა წმიდა გიორგი და აუწყა, რათა აღაშენონ მონასტერი, მთასა წმიდასა, ადგილსა დასახელებით. ხოლო მოვიდნენ. იხილეს ადგილსა ამას მარმარილო მცირედი სუნნელთა აღმომცენებელი და იწყეს შენობად მონასტრისა, და ევედრებოდეს უფალსა, რომლისა წმიდისა სახელსა ზედან აღაშენოს ტაძარი იგი. და შემზადეს ფიცარი ხატისათვის და იტყოდეს: რაცა უფალმან გვაუწყოს, იგი დავსახოთ ფიცარსა ამას ზედან. და იქმნა საკვირველი, რამეთუ ფიცარსა მას ზედან მეორესა დღესა იხილეს სახე მთავარმოწამისა გიორგისი და განკვირდენ საკვირველებასა მას ზედან და უწოდეს ენისაებრ ბერძულისა უზოლრაფ, ესე იგი არს გარდმოხატული, ვიდრე დღეინდელად დღემდე ეწოდების. ხოლო ამისა შემდგომად მოგვესმაო, ვითარმედ იერუსალიმისა ახლოდ, რომელსა იაფად სახელდებენ, მუნ არს სოფელი ერთი, რომელსა რემლი ეწოდების (B რედაქცია: „რემლისა მონასტრისა, ახლოდ იერუსალიმისა“) და იყო სოფელსა მას შინა მონასტერი წმიდისა გიორგისა და ხატიცა მისი ესვენა, და ნებითა ღმრთისათა აღიკოცა სახე ხატისა მის და აქა ცარიელსა მას ფიცარსა ზედან გარდამოისახა. ხოლო ფიცარი იგი მისი ცარიელი დღესამომდე არს მუნ. ხოლო წინამძღვარმან მის მონასტრისამან იწყო ტირილით ვედრებად წმიდისა მოწამისა, თუ სადათ მიგვეფარე. და ჩუენებით იხილა წინამძღვარმა მან, სახელით ევსტრატი, ვითარმედ მთაწმიდას უზოლრაფსა ვარ. და მოვიდა წინამძღარი ევსტრატისოს აქა და იხილა რა, ფრიად განკვირდა.“

ზოგრაფის მონასტრის დაარსების შესახებ გვიან შუა საუკუნეებში გავრცელებული ეს თქმულება 1508 წელს ათონელმა მღვდელმონაზონმა გაბრიელმა ბერძნულიდან სლავურ-სერბულ ენაზე თარგმნა, რის შემდეგაც ის პოპულარული გახდა მთელ სლავურ სამყაროში. თავად ბერძნული ტექსტი, შემონახულია Patria Athonensia-დ წოდებულ კრებულში, რომლის ხელნაწერები არაუადრეს XV ს-ის შუა ხანებისა და XVI ს-ის დასაწყისიდან არის ცნობილი.⁵⁵ წინამდებარე წერილისთვის აზრი არ აქვს გავარჩიოთ ამ თქმულების ანაქრონიზმები და

54 იქვე, გვ. 112 და 113.

55 M. Tsibranska-Kostova, I. Biliarsky, Patria Athonensia and Отьчьствие стѣжъ горы: A Sixteenth-Century Slavonic Source about the Zographou Monastery. Scripta & e-Scripta, 12, 2013, p. 42. იხ. ასევე: The Slavonic Patria of Mount Athos (BHG 1054u + BHG 2333), ed. by Georgi R. Parpulov, Plovdiv, 2013.

მონასტრის დაარსებასთან დაკავშირებული ისტორიული დეტალები, ასევე, ტიმოთეს რედაქციების მიმართება ბერძნულ თუ სლავურ რედაქციებთან; ამჯერად, ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ წმ. გიორგის ხატის რაობა და, თქმულების მიხედვით, მისი ადრინდელი ადგილმდებარეობა და წარმომავლობა. ზოგრაფის მონასტერში დაცული ეს ხატი ცნობილია, როგორც ფანუილის წმ. გიორგი (ბულგ. Фануилска икона на Свети Георги Победоносец). ხატი, სტილისტური თვალსაზრისით XIV ს-ს განეკუთვნება და პალეოლოგური სტილის გავლენას ამჟღავნებს.⁵⁶ ხატის დასახელების ისტორია მოთხრობილია თქმულებაში, რომლის ჩვენამდე შემორჩენილი ბერძნული და სლავური ტექსტების მიხედვით მისი თავდაპირველი ადგილსამყოფელი ყოფილა სოფელი ფანუელი/ფანუილი ქალაქ ლუდთან (ლიდა) ახლოს, პალესტინაში.

ა) ბერძნული ვერსიით: „იყო ერთი სოფელი ქალაქ ლიდასთან ახლოს, ფანუელი ეწოდებოდა, იქ იყო დიდმოწამე გიორგის ტაძარი, არამცირედი მონაზვნით“ (Κάμη τις πλησίον πόλεως Λύδνης, Φανουήλ καλουμένη, ἔαυθ εἶχε τοῦ μεγάλου μάρτυρος Γεωργίου σὺν οὐκ ὀλίγοις μοναχοῖς.)⁵⁷

ბ) გაბრიელ მღვდელმონაზონის სლავური თარგმანი ზუსტად მიჰყვება ბერძნულ დედანს: “Въсь нѣкѡтораа бѣше близъ града Лидѣ, Фануиль глаголюемаа. Храмы имѣаше великомучьника Георгіа съ мнѡжьствомъ инокъ”.⁵⁸

გ) გაბრიელ მღვდელმონაზონის თარგმანის სტეფანე მთაწმინდელისეული (1598 წ-მდე) სლავური პერიფრაზი: „პალესტინის მხარეებში ერთი სოფელია, სახელად ფანუილი, ქალაქ ლიდის ახლოს, მოპირდაპირედ, და იქ არის დიდმოწამე გიორგის ტაძარი, საკმაო მონაზვნებით. (В странахъ Палѣстинскихъ въсь нѣкаа именовъ Фануиль, близъ града Лидіе прѣмо павль, имѣаше храмъ светаго великомучьника Георгіа съ мнѣхы дѡволны.)⁵⁹

როგორც დავინახეთ, ტიმოთე გაბაშვილის რედაქცია, რომელიც

56 Прашков Л., Шаренков А. Паметници на културата на Св. гора – Атон. София, 1987, ст. 155.

57 М. Tsibranska-Kostova, I. Biliarsky, Patria Athonensia and Отьчьствие стыѡ горы: A Sixteenth-Century Slavonic Source about the Zographou Monastery. Scripta & e-Scripta, 12, 2013, p. 48.

58 М. Tsibranska-Kostova, I. Biliarsky, Patria Athonensia and Отьчьствие стыѡ горы: A Sixteenth-Century Slavonic Source about the Zographou Monastery. Scripta & e-Scripta, 12, 2013, p. 43; The Slavonic Patria of Mount Athos (BHG 1054u + BHG 2333), ed. by Georgi R. Parpulov, Plovdiv, 2013, p. 13.

59 The Slavonic Patria of Mount Athos (BHG 1054u + BHG 2333), ed. by Georgi R. Parpulov, Plovdiv, 2013, p. 31; იქვე ფორმა: Фанойль (ორჯერ), გვ. 33.

მისთვის ზეპირად მოთხრობილის ჩანაწერია, ზემოთ მოყვანილი ბერძნულ-სლავური რედაქციებისგან განსხვავდება; კერძოდ, მასში არ არის ნახსენები სოფ. ფანუელი/ფანოელი და არც ქალაქი ლიდა/ლიდია. სამაგიეროდ, ნახსენებია იერუსალიმის მახლობლად, და კიდევ უფრო კონკრეტულად კი, იაფასთან⁶⁰ მდებარე სოფელი რემლი (A, B), მეორე ფორმით – რამლა (B), სადაც ყოფილა წმინდა გიორგის მონასტერი და მისი სასწაულმოქმედი ხატიც. რუმლი/რამლა/რემლი კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ტიმოთესთან გაიგივებულია არიმათიასთან, როგორც ეს მის დროს იყო მიღებული. მაშასადამე, ნათელია, რომ ზოგრაფის წმ. გიორგის ხატის თავდაპირველი ადგილსამყოფელი ყოფილა რამლაში, რასაც სლავურ-ბერძნული რედაქციებიც ადასტურებს, რადგან ისინი სოფელ ფანუილს (Φανουήλ, Фануиль, Фаноиль), სადაც წმინდანის მონასტერი და ხატი ყოფილა, ქალაქ ლიდიასთან ახლოს ათავსებენ. გაკრული ხელით ნაწერი ბერძნული მინისკულური ხელნაწერის გადაწერისას გადამწერს ადვილად შეიძლება შეშლოდა მისთვის უცნობ გეოგრაფიულ სახელში რ (r) და ფ (f), ასევე – მ (m) და ან (n), შესაბამისად, Ράμελ-იდან უნდა მიგვეღო Φαμελ (ramel > fanel), რომელიც, საბოლოოდ, გადამწერმა მისთვის კარგად ცნობილ ბიბლიურ Φανουήლ-ს დაუკავშირა. ფაქტია, რომ ტიმოთე გაბაშვილი თავად ვერ მოიგონებდა თქმულებაში რამლას ჩასმას ფანუილის მაგივრად. საფიქრებელია, რომ მისი ინფორმატორი სხვა ტრადიციას იცნობდა, ვიდრე ჩვენთვის დღეს ცნობილ ბერძნულ-სლავურ ხელნაწერებშია დაფიქსირებული.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ არაა საფუძველს მოკლებული დავასკვნათ, რომ ზემო მაჩხაანში მდებარე არმათიონის წმ. გიორგის ეკლესიის სახელწოდება რამლას, ანუ არიმათიის წმ. გიორგის და მის ხატს უნდა უკავშირდებოდეს (გამორისახება წელამდე, მხედრულ ტანსაცმელში, მარცხენა ხელში შუბით, ხოლო მარჯვენა უდევს მახვილის ტარზე). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზემო მაჩხაანის არმათიონის წმ. გიორგის ეკლესიას არქიტექტურულად XVII-XVIII სს-ს მიაკუთვნებენ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში, ათონის მთაზე ქართველთა მონასტრის (ივერონი) დაქვეითებისა და ქართველი ბერ-მონაზვნების რიცხვის შემცირების დროს რომელიმე მათგანმა მოიტანა საქართველოში, კერძოდ კი მაჩხაანში, ზოგრაფის წმ. გიორგის ხატის ასლი და მისი კულტი. თუმცა, არაა გამორიცხული, რომ ეს თავად ტიმოთე გაბაშვილს გაეკეთებინა მისი ათონის მთაზე და წმ. მიწაზე მოგზაურობიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ. ამ მხრივ, საკითხი შესწავლას იმსახურებს.

60 სხვაგან ტიმოთე იაფას იოპედაც მოიხსენიებს. იხ. გაბაშვილი, მიმოსლვა, ე. მეტრეველის გამოც., თბ., 1956, გვ. 68.

რაც შეეხება 10 ნოემბრის (ძვ. სტ.) გიორგობას, ზემოთ წარმოდგენილ არგუმენტთა გათვალისწინებით, იგი არ უნდა უკავშირდებოდეს მთავარმოწამის ურმის თვალზე წამებას. როგორც ჩანს, კ. კეკელიძე სრულიად მართებულად აკავშირებდა მას ლუდის ეკლესიის ენკენია/სატფურებასთან (3 ნოემბერი ძვ. სტ.) და მისი წარგზავნის დღესასწაულთან.⁶¹ ეს გარემოება ასახულია უძველეს ქართულ კალნედრებშიც, სადაც 3 ნოემბერი ლიდის ეკლესიის სატფურების დღესასწაულადაა აღნიშნული, ხოლო 10 ნოემბერიც, ასევე, სატფურების დღესასწაულად იხსენიება, ოღონდ ლიდის გარეთ (მაგ. დაბასა ენბიგლონს). შესაბამისად, ზემო მაჩხაანის ეკლესიის სახელწოდების „არმათიონი“ ურმის ბერძნული სახელწოდებიდან – „არმატოს“ გამოყვანის მცდელობაც სერიოზულ დაბრკოლებებს აწყდება. ჩვენი აზრით, სახელი „არმათიონი“ რამლამი წმ. გიორგის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომელმაც სახელი გაითქვა ჯერ „დედაბრის სვეტის სასწაულით“, ხოლო შემდეგ მისი სასწაულთმოქმედი ხატის მეშვეობით, რომლის კულტიც ათონის მთაზე, ზოგრაფის მონასტრის დაარსების შესახებ თქმულებას დაედო საფუძვლად.

17/30 აპრილი
 ვნების შვიდეული, ღიღი შაბათი, 2016
 ვარშავა

61 ენკენიის დღესასწაულის წარმოშობისა და მნიშვნელობის შესახებ იხ.: Fraser. M. A. 'The feast of the Encaenia in the fourth century and in the ancient liturgical sources of Jerusalem.', PhD thesis, Durham University, 1995.